

## სასამართლოს მიმართ ნდობის შესახებ, და არა მხოლოდ

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრთან, იურისტ შალვა შავგულიძესთან  
გაზეთი "Аргументы и факты" N 27 (1808), 1 ივლისი 2015 წ.

**1. თქვენ მხარი დაუჭირეთ ნინო გვენეტაძის კანდიდატურას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მაშინ, როდესაც უმრავლესობაში ამ საკითხზე ერთიანი პოზიცია არ არსებობდა. რით იყო ეს გადაწყვეტილება განპირობებული?**

- მართალს ბრძანებთ. პირადად მე და მთლიანად პოლიტიკურმა გაერთიანებამ „თავისუფალმა დემოკრატიებმა“, რომელსაც მე წარმოვადგენ, მხარი დაუჭირეთ ქალბატონ ნინო გვენეტაძის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე.

საქმე იმაშია, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში, ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას, საქართველოში სასამართლომ ფაქტიურად მთლიანად დაკარგა დამოუკიდებლობა და ის მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენას დაექვემდებარა. „ნაციონალური მოძრაობისათვის“ მიუღებელი იყო მისგან არაკონტროლირებადი მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა. ერთ-ერთ ასეთ მოსამართლეს წარმოადგენდა ნინო გვენეტაძე, რომელიც იმ დროს უზენაესი სასამართლოს წევრი იყო. ის არ დაემორჩილა მაშინდელი ხელისუფლების მოთხოვნას და თავის რამდენიმე კოლეგასთან ერთად უარი განაცხადა პირადი განცხადებით დაეტოვებინა თანამდებობა. მისი პროტესტი იმ დროს უდაოდ ღირსეული საქციელი იყო საჯარო მოხელის მხრიდან, რომელიც დაუპირისპირდა ხელისუფლების უკანონო მოქმედებას. გარდა ამისა, ქალბატონი ნინო კვალიფიციური იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ. ამ გარემოებებმა განაპირობეს მისი კანდიდატურის მხარდაჭერა ჩვენი მხრიდან და იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამ გადაწყვეტილებაში არ შევმცდარვართ.

**2. ხომ არ შიშობთ, რომ შეცდომა დაუშვით ნინო გვენეტაძის კანდიდატურის მხარდაჭერის დროს?**

- დღეის მდგომარეობით მე ეჭვს არ შევიტანდი ნინო გვენეტაძის სურვილის გულწრფელობაში - დაიცვას სასამართლოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვიტყვოდი, რომ ის სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას ამ სურვილის რეალიზების გზაზე. სამწუხაროდ, იკვეთება სურათი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება - კოალიცია „ქართული ოცნება“ ისევე ცდილობს პროკურატურა და სასამართლო საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს დაუქვემდებაროს, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა. ამის ნათელი მაგალითებია ორი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც საზოგადოებაში „ტრაქტორების“ და „კაბელების“ საქმეების სახელითაა ცნობილი. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ერთ

შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო მეორე შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს უდანაშაულო თანამშრომლები პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემული მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, რომელსაც პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ არაფორმალურად კვლავ ბიძინა ივანიშვილი მართავს, ამ უწყებათა ხელმძღვანელი მინისტრების დისკრედიტაცია და თანამდებობიდან გადაყენება სურდა.

პირადად გაცნობილი ვარ ორივე საქმის მასალებს და როგორც იურისტი, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადებ, რომ არცერთ საქმეზე ბრალდებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

დავუბრუნდეთ თქვენს შეკითხვას - მე იმის თქმა მინდოდა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა დღესაც სერიოზულ პრობლემად დგას ქართული სახელმწიფოს წინაშე და ქალბატონ ნინოს, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, დიდი ძალისხმევა დასჭირდება სასამართლოს დასაცავად პოლიტიკური გავლენებისაგან.

**3. უკვე მერამდენე წელია სასამართლო სისტემის რეფორმირება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება. რა ცვლილებებია საჭირო სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ასმაღლებლად? რა გამოწვევები დგას სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის წინაშე?**

- კარგი შეკითხვაა. მართლაც, რამდენი წელია საქართველოში სასამართლოს რეფორმირება ხორციელდება და ჯერ კიდევ ვერ მივიღეთ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც მაღალი ნდობა ექნებოდა საზოგადოებაში. თქვენს კითხვაზე პასუხი გარკვეულ ისტორიულ ექსკურსს საჭიროებს.

როგორც ზევით აღვნიშნე, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა სრული კონტროლი განეხორციელებინა სასამართლო სისტემაზე. ამ მიზნით განხორციელებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად მოსამართლეთა კორპუსის ფორმირება და მისი ადმინისტრირება ერთი ადამიანის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელში იქნა მოქცეული, რომელიც იმავდროულად იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი და ასევე თავმჯდომარეობდა მოსამართლეთა კონფერენციას. ასეთი შეუზღუდავი უფლებამოსილებით აღჭურვილ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის თანამდებობაზე განწესება მთლიანად მმართველი პოლიტიკური ძალის ნებაზე იყო დამოკიდებული, „ნაციონალური მოძრაობა“ „ეფექტურად“ იყენებდა სასამართლო ხელისუფლებაზე პოლიტიკური კონტროლის განსახორციელებლად.

რაც შეეხება მანამდე დანიშნული იმ მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენებას, რომლებიც არ სარგებლობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ნდობით, აღნიშნული საკითხიც „იოლად“ იქნა გადაწყვეტილი ხისტი და უკანონო

სასამართლო რეფორმის მეშვეობით. აღნიშნული ცალკე საუბრის თემაა და ამჯერად მეტს არ განვაგრძობ.

ამგვარად, სასამართლო ხელისუფლება მმართველი პოლიტიკური ძალის - „ნაციონალური მოძრაობის“ აბსოლუტური კონტროლის ქვეშ მოექცა. ამას შედეგად მოჰყვა სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის კატასტროფულად დაბალი ხარისხი ქვეყნის შიგნით და ჩვენი სასამართლოს საქმიანობის ცალსახად ნეგატიური შეფასებები საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

ასეთი სასამართლო სისტემა მიიღო მემკვიდრეობით „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც რა თქმა უნდა საჭიროებდა რეფორმირებას.

პირადად გახლდით ავტორი და ინიციატორი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის 1 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებისა, რომლის თანახმად არსებითად შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი, რითაც თავად საბჭო და შესაბამისად, მის მიერ ადმინისტრირებული სასამართლო სისტემა მაქსიმალურად გათავისუფლდა პოლიტიკური გავლენებისაგან.

იმავდროულად, მოსამართლის უვადოდ განწესებამდე შემოღებული იქნა მისი განწესება 3 წლის ვადით, რა პერიოდშიც მის სამოსამართლო საქმიანობას იუსტიციის უმაღლესი საბჭო გაუწევს მონიტორინგს მაქსიმალურად ობიექტური კრიტერიუმებით და ისეთი წესით, რაც ფაქტიურად გამორიცხავს რაიმე ზემოქმედებას მონიტორინგს დაქვემდებარებული მოსამართლის პროფესიულ საქმიანობაზე; აღნიშნული მონიტორინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მოსამართლე განწესდება უვადოდ.

**4. ვენეციის კომისიამ კრიტიკულად შეაფასა მოსამართლეთა ე.წ. „გამოსაცდელი ვადით“ დანიშვნის შემოღება საქართველოში. ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტებისამგვარი შეფასების შემდეგ რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ აღნიშნული გადაწყვეტილება?**

- ვფიქრობ ეს ერთადერთი სწორი, გონივრული და ამასთან კანონიერი გადაწყვეტილება იყო არსებულ ვითარებაში.

საქმე იმაშია, რომ იმ შემთხვევაში თუ პირდაპირ ამოქმედდებოდა მოსამართლეთა უვადოდ განწესების წესი, გაცილებით ცუდ შედეგებს მივიღებდით ვიდრე საპრობაციო ვადის პერიოდში მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შექმნის თეორიული საშიშროებაა.

ჩვენ იმის რეალური საფრთხის წინაშე ვიდექით, რომ მოსამართლეთა არსებული კორპუსი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საზოგადოების ნდობა აბსოლუტურად დაკარგული ჰქონდა, ფაქტიურად მთლიანად გადაინიშნებოდა უვადოდ, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მათ კონკურენციას ვერ გაუწევდნენ სამოსამართლო პრაქტიკის არმქონე

კანდიდატები, რომელთაც ესაჭიროებოდათ იუსტიციის სკოლის 9 თვიანი კურსის და სხვა პროცედურების გავლა. ამის დაშვება გაუმართლებელი იქნებოდა. ჩვენ მიერ მიღებული კანონით ყველა თანასწორ მდგომარეობაში იქნა დაყენებული ახალი ინსტიტუტის - მოსამართლედ უვადოდ განწესების წინაშე. უვადოდ განწესების ყველა მსურველი, როგორც მოქმედი ისე ყოფილი მოსამართლე თუ სამოსამართლეო პრაქტიკის არმქონე კანდიდატი, ერთიანი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში მოსამართლედ განწესდება 3 წლის ვადით და ამ პერიოდში მასზე განხორციელებული ობიექტური მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, გადაწყდება მისი უვადოდ განწესების საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლედ უვადოდ განწესება გამოსაცდელი ვადის გარეშე ხდება, კანდიდატების სრულყოფილი მონიტორინგი ხორციელდება მოსამართლედ განწესებამდე, იუსტიციის სკოლაში თუ სხვა ორგანოში მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული სწავლების დროს. მომავალში რა თქმა უნდა შეიძლება ვიფიქროთ ამ კუთხით. ანუ, გავზარდოთ იუსტიციის სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა არსებული 9 თვიდან რამდენიმე წლამდე, თეორიულთან ერთად კანდიდატებმა გაიარონ პრაქტიკული სწავლების საფუძვლიანი კურსი და მთელ ამ პერიოდში მათზე განხორციელდეს სრულყოფილი მონიტორინგი. აღნიშნული რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების გადაჭრასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა კეთილი მიზნიდან გამომდინარე ღირს ამ თანხების მოძიება. მაგრამ ვიდრე ეს არ გაგვიკეთებია, საპრობაციო ვადის პერიოდში მოსამართლის საქმიანობის ყოველმხრივი და სრულყოფილი მონიტორინგის გარეშე მისი უვადოდ განწესება დაუშვებელია, ვინაიდან კანდიდატის შეფასებაში შეცდომის დიდ საფრთხეს შეიცავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ: „გამოსაცდელი ვადით“ მოსამართლედ განწესების წესი არსებობს ბევრ ევროპულ ქვეყანაში; მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას დასაშვებად მიიჩნევს „ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“; „ვენეციის კომისიაც“, მიუთითებს რა სამოსამართლეო საქმიანობის დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შექმნის საშიშროებაზე მოსამართლის გამოსაცდელი ვადით განწესების შემთხვევაში, საჭიროებისას არ გამორიცხავს ამ წესის გამოყენებას. აღნიშნულზე მითითებულია 2010 წლის 15 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან დაკავშირებით „ვენეციის კომისიის“ დასკვნის 90-ე პუნქტში.

საყურადღებოა, რომ უვადოდ განწესებამდე განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს 3 წლისა) მოსამართლედ განწესების შესაძლებლობას ითვალისწინებდა 2010 წლის ზემოხსენებული კონსტიტუციური კანონი, რომლითაც საერთოდ შემოღებული იქნა მოსამართლედ უვადოდ განწესების წესი საქართველოში. ჩვენ 2013 წლის 1 ნოემბრის კანონით სავალდებულოდ ვაქციეთ ეს შესაძლებლობა.

ამგვარად, კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ უვადოდ განწესებამდე მოსამართლის 3 წლის ვადით განწესების ზემოხსენებული წესის შემოღება, ჩვენს შემთხვევაში სწორი, გონივრული და კანონიერი გადაწყვეტილება იყო.

მინდა მივუბრუნდე მნიშვნელოვან კითხვას რომელიც დამისვით - რა ცვლილებებია საჭირო სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად საქართველოში?

ამ კითხვაზე დიდი მხედარმთავრის გამონათქვამის პერეფრაზით გიპასუხებთ - საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნების, ხელისუფლების პოლიტიკური ნების და კიდევ ერთხელ ხელისუფლების პოლიტიკური ნების შეცვლა იმ თვალსაზრისით, რომ მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ აღარ მოინდომოს სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარება. მხოლოდ ხელისუფლების ასეთი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში გატარდება იმგვარი რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და საზოგადოებას გაუჩენს ნდობას სასამართლოს მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს ყველანაირი რეფორმა, რამდენ ეტაპადაც არ უნდა განვახორციელოთ ის, განწირულია კრახისთვის. ვშიშობ, „ქართულ ოცნებას“ ამგვარი ნება არ გააჩნია.

## **5. დღეს ბევრი საუბარია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. მზად იყო ქართული მართლმსაჯულება და თავად საზოგადოება ამ სიახლისათვის?**

- მეტად აქტუალური და კარგი შეკითხვაა. აქაც მცირე ისტორიული ექსკურსია საჭირო, რათა დავინახოთ ამ ინსტიტუტის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია 2004 წლიდან, ხოლო ქართულ სამართალწარმოებაში ეს ინსტიტუტი ამოქმედდა 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან, ანუ - 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. სამწუხაროდ იმდენად მცირე იყო საპროცესო კოდექსის თანახმად ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას დაქვემდებარებულ საქმეთა წრე, რომ ამ ინსტიტუტის ამოქმედებიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში, ანუ 2010 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სულ 3 თუ 4 საქმე იქნა განხილული.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2013 წლის 18 იანვრის კანონით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებულ დანაშაულთა წრე გაფართოვდა. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას დაექვემდებარა საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულები. ორი წლის შემდეგ, 2015 წლის 19 თებერვლის კანონით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მიიღო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობიდან ამოღებული იქნა საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულები. ამის შემდეგ „ქართული ოცნების“ მთავრობისა თუ საპარლამენტო

უმრავლესობის წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად კეთდება საჯარო განცხადებები, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა „კრაზი განიცადა“ საქართველოში, რომ ეს ინსტიტუტი არ შეესაბამება „სამართლიანი სასამართლოს“ სტანდარტს და ა.შ. ამკარაა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ცდილობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განდევნოს ქართული მართლმსაჯულებიდან. ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის საწყის პერიოდში, როდესაც ცხადი იყო ყოფილი სახელისუფლებო ძალის - „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენა სასამართლო სისტემაზე, „ქართულ ოცნებას“ ეიმედებოდა ნაფიცი მსაჯულების და რამდენადაც წინა ხელისუფლების საჯარო მოხელეთა ბრალდების საქმეების სასამართლო განხილვები იყო მოსალოდნელი, „ქართულმა ოცნებამ“ ამ კატეგორიის საქმეები დაუქვემდებარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას. ორი წლის შემდეგ, ამკარად შესუსტდა რა „ნაციონალური მოძრაობის“ და პირიქით გაიზარდა „ქართული ოცნების“ გავლენა სასამართლოზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მხოლოდ ხელისშემშლელ ფაქტორად გადაიქცა „ქართული ოცნებისათვის“, სასამართლო სისტემის გაკონტროლების გზაზე. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ უკვე ცდილობს ამ ინსტიტუტის აღმოფხვრას სამართალწარმოებიდან.

სამწუხაროდ ასეთი მძიმე ხვედრი ერგო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში. ხელისუფლება მასზე უარს ამბობს ისე, რომ აღნიშნული ინსტიტუტი, 5 წლის წინ შემოღების შემდეგ, ფაქტიურად არც კი ამოქმედებულა ჩვენს სამართალწარმოებაში.

პირადად მე იმ იურისტთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც გვსურს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სრულყოფილი ამოქმედება ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად არ შევუდგები ამ ინსტიტუტის დადებით მხარეებზე საუბარს. ვიტყვი მთავარს - ქართული სახელმწიფოს ბოლო 25 წლის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო. მე რა თქმა უნდა ვგულისხმობ სასამართლო სისტემას მთლიანობაში და არა ცალკეულ ღირსეულ და მაღალკვალიფიციურ ქართველ მოსამართლეებს, რომლებიც საბედნიეროდ არსებობდნენ და არსებობენ დღესაც. სასამართლო ხელისუფლება ან მექრთამეობის ჭაობში იყო ჩაფლული ან სისტემურ კორუფციულ გარიგებაში შედიოდა ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალასთან. სისტემურია კორუფცია როდესაც მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა, თავიანთი პროფესიული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, თანამდებობის და მასთან დაკავშირებული „კეთილდღეობის“ შენარჩუნების მიზნით, უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის ნების შესაბამისად. მეორეს მხრივ, დღემდე ვერც ისეთი პოლიტიკური ძალა ვიხილეთ ქვეყნის მართველობაში მოსული, რომელიც უარს იტყოდა სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარებასა და უკანონო კონტროლზე. ამ მოჯადოვებული წრიდან თავის დაღწევის შესაძლებლობად სწორედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედება მესახება. შემთხვევით შერჩეული 12 უცხო ადამიანის

ჩართვა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში, ვფიქრობ მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი იქნება კორუფციული გარიგებისათვის ერთის მხრივ, მოსამართლესა და მეორეს მხრივ, ხელისუფლებას თუ კერძო სუბიექტს შორის. ეს არის

უმთავრესი რატომაც მხარს ვუჭერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეალურად ამოქმედებას ჩვენს ქვეყანაში. უნდა ვცადოთ. სხვა გამოსავალს პირადად მე ვერ ვხედავ.

ჟურნალისტი: მირანდა ოგანეზოვა

[http://gazeta.aif.ru/online/tbilisi/666/15\\_01](http://gazeta.aif.ru/online/tbilisi/666/15_01)